სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ანგარიში

2015 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 435,456-30ლარს, მ.შ:

1. 363778,01 ლარი - ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები და სხვა);
2. 27674,46 ლარი - რუსთაველი სამეცნიერო ფონდი;
3. 24635,18 ლარი - საერთაშორისო გრანტები (მ.შ. BOMUP – 4305,61 ლარი; CASEDE – 5985,12 ლარი; SUTOMA - 159,77 ლარი ; DOIT – 14184,68 ლარი; LEGUE – 19368.62 ლარი).

სულ 2015 წლის შემოსავალმა შეადგინა 2998884,24 ლარი: მ.შ:

1. 2733051,24 ლარი - ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები და სხვა);
2. 64200 ლარი - სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებისთვის;
3. 59491,99 ლარი - მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. დაფინანსება შეადგენს 165705,00 ლარს, გადანაწილებულია 2 წელზე: 2015-2016 წ, რომლის საშუალებითაც ხორციელდება უნივერსიტეტის მესამე და მეოთხე სასწავლო კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია. 2015 წელს გახარჯულია 59491,99 ლარი, დანარჩენის ათვისება განხორციელდება 2016 წელს. 2015 წელს მთლიანად მოხდა მესამე სასაწავლო კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია, ხოლო მეოთხე სასაწავლო კორპუსის სახურავის რეაბილიტაციის ნაწილი სამუშაოები დაწყებულია და დასრულდება 2016 წელს.
4. 17488,61 ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (მოდულური პროგრამების განხორციელების მიზნით საჭირო ხელსაწყოების და აღჭურვილობის შესაძენად);
5. 9758,32 ლარი - პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსება (პროექტის - ,,შიდა კახეთის ნიადაგების კვლევა" ლაბორატორიის აღჭურვისათვის);
6. 99024,92 ლარი - რუსთაველი სამეცნიერო ფონდიდან;
7. 15869,16 ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები (მ.შ. BOMUP – 8904,65 ლარი; SUTOMA – 6954,51 ლარი)

2015 წლის გადასახდელებმა შეადგინა 3034197,14 ლარი. მ.შ.

- ,, შრომის ანაზღაურების მუხლით“ – 1803432,73 ლარი;
- ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურება“ – 594603,75 ლარი (მ.შ საათობრივი ანაზღაურება-213260-79 ლარი; ხელშეკრულების წესით - 479321-43 ლარი; და სხვადსხვა პროექტების ხელფასები - 325147-55 ლარი)
- ,,მივლინებები“ – 12211,00 ლარი;
- ოფისის ხარჯები“ – 209385,04 ლარი (კომუნალური გადასახადები: ბუნებრივი აირი, ელ. ენერგია, კანალიზაციის, დასუფთავების, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი, სამეურნეო მასალები);
- ,,წარმომადგენლობითი ხარჯები“ – 21356,05 ლარი;
- ,,სამედიცინო ხარჯები“ – 877,25 ლარი;
- ,,რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 1339,20 ლარი;
- ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები“ – 21973,18 ლარი (საწვავი, საპოხი მასალები, შეკეთება, ავტონაწილები);
- ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ – 39196,01 ლარი (რეკლამის ხარჯი, კადრების გადამზადები ხარჯი, სამეცნიერო და სხვა მასალების ბეჭდვა, კონფერენციების და სესიების ხარჯი და სხვა);
- სხვა ხარჯები:
    - სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები:
    - სავადო ბიუჯეტს (ქონებიდან,მოგებიდან,მიწის) – 10362,20 ლარი;
    - სტუდენტური თვითმმართველობის ხარჯი – 6761 ლარი (სპორტული და კულტურული ღონისძიებები, ჯილდოების და პრიზების ხარჯი; ექსკურსიის მოწყობის ხარჯები);
    - სტიპენტიები წარჩინებულ სტუდენტებს - 64200-00 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- არაფინანსური აქტივების ზრდა:
    - მ.შ. შენობა-ნაგებობების რემონტი - 71891,15 ლარი (გარემონტდა აუდიტორიები, ლაბორატორია, რეაბილიტირებულია მესამე სასწავლო კორპუსის სახურავი და მიმდინარეობს მეოთხე სასაწავლო კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია);
    - წიგნები 11035,29 ლარი (საბიბლიოთეკო ფონდი განახლდა როგორც სასწავლო-სამეცნიერო, ასევე მხატვული ლიტერატურითაც და სრულიად დაკმაყოფილდა ყველა ფაკულტეტის წარდგინება წიგნების შესყიდვაზე.)

- სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 32451,71 ლარი (კომპიუტერები, ტექნიკა, ლაბორატორიის აღჭურვილობა და სხვა).

2015 წელს დასრულდა უნივერსიტეტის დაფინანსებით მიმდინარე სამეცნიერო პროექტები:

1. ,,ქართული ცივილიზაციის სათავეებთან - ,,ამირანიანი ახლებური ხედვა", რომლის დაფინანსებაც 2015 წლისთვის შედგენდა 6679,86 ლარს;
2. ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921-1950) - რომლის დაფინანსებაც 2015 წლისთვის შედგენდა 10175,00 ლარს;
3. ვოდევილევი - რომლის დაფინანსებაც 2015 წლისთვის შედგენდა 3100,00 ლარს.

პროექტების მონაწილეების ანაზღაურებამ (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურების მუხლით) შეადგინა 17729,86 ლარი; პროექტების დასასრულს გამოიცა შესაბამისი ნაშრომები, რომლის დაბეჭდვის ღირებულებამ შეადგინა 2225,00 ლარი.

2015 წელს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ხარჯმა შეადგინა 82861,00 ლარი. მ.შ.

1. 74508,00 ლარი - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება;
2. 6012,00 ლარი - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება;
3. 1191,00 ლარი - მივლინება;
4. 1150,00 ლარი - კომპიუტერის შეძენის ხარჯი.

2016 წლის 01 ინვრისათვის უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშებზე ნაშთი შეადგენდა 400143,37 ლარს.

2015 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ინტენსიურად საქმიანობდა ფინანსების მართვის, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებით.

შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძებები, კერძოდ: საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძებებში სტუდენტთა მონაწილეობა.

შეფერხების გარეშე ფინანსდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები და სხვა.

დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ფულადი სახსრების გაცემა. დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების ჩაბარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 12 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და 1 ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა და აიტვირთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში 322 ხელშეკრულება.

უნივერსიტეტის აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით, ჩვენი სასაწყობე მეურნეობა უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგებას საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარით და ხდებოდა მათი განაწილება დადგენილი წესის მიხედვით. ხორციელდებოდა სისტემატური კონტროლი სასაწყობო მეურნეობაზე, მატერიალური ფასეულობების მარაგზე და ამოწურვის შემთხვევაში დროული რეაგირება.

შესყიდულ იქნა სტუდენთთა მართვის ახალი ავტომატიზირებული პროგრამა, რომელიც უკვე წარმატებით ინერგება ფაკულტეტებზე. იგი გაცილებით გაუადვილებს მუშაობას ფაკულტეტებსა და საფინასო სამსახურს და მოხდება როგორც ფინანსური, ასევე აკადემიური აღრიცხვის მაქსიმალურად ზუსტი გათვლები.